KANT

KNOWLEDGE FOR ANTI-MILITARISM AND NO-WAR TEACH-INS

“ჩვენი პლანეტა ჰგავს მარშზე გაოფლილ ახალწვეულს”:

თანამედროვე მილიტარიზმის საფუძვლები. კრიტიკული მიმოხილვის გამოცდილება.

რომელ დროსა და რეგიონებში უნდა ვეძიოთ თანამედროვე მილიტარიზმის იდეოლოგიის და პრაქტიკების საფუძველი?

თუ მივუბრუნდებით იოსეფ ბროდსკის სიტყვებს, როგორც მეტაფორას, რომელიც ზუსტად აღწერს მილიტარიზაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგებს, მაშინ ჩვენი საუბრის მიზანი შეიძლება განისაზღვროს როგორც პასუხის ძიება კითხვაზე — თუ როგორ მოხდა, რომ მთელი ჩვენი პლანეტა ისტორიის რაღაც მომენტიდან დაემსგავსა მარშზე გაოფლილ ახალწვეულს.

პირველი ასოციაციები, რომელიც სიტყვა მილიტარიზმი იწვევს, ერთმანეთთან აკავშირებს ომს, ჯარს და განსაკუთრებით, იდეოლოგიას, რომელიც ამართლებს მასობრივ შეიარაღებულ ძალადობას. ასევე შეიძლება გავიხსენოთ მზარდი სამხედრო ბიუჯეტები. ეს თემა ხშირად განიხილება მედიაში. მაგრამ არის სხვა სიღრმისეული მიზეზები და კავშირები, რომლებზეც ჩვენ არ ვფიქრობთ, ან უბრალოდ არ ვიცით მათ შესახებ.

არსებობს პირდაპირი კავშირი მილიტარიზმს და ეკონომიკაში დომინირებულ კაპიტალიზმს შორის. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე მილიტარიზმის დაბადება მჭიდროდ იყო დაკავშირებული თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან. თავის მხრივ, მილიტარიზმი და კაპიტალიზმი სრულფასოვნად ემსახურებოდნენ უახლოესი იმპერიების – ჰოლანდიურის, ბრიტანულის, ფრანგულის, რუსეთის და სხვათა, და, ასევე, თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას.

მილიტარისტული იდეოლოგიის და პრაქტიკების განვითარება ფეხდაფეხ სდევდა ნაციონალიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბებას და აისახებოდა ნაციონალური არმიის თანდათანობით ჩამოყალიბებაში. ამის შედეგად, მასობრივმა ნაციონალურმა, ან თუ გნებათ, მუდმივმა „სახალხო არმიებმა“ ჩაანაცვლეს ფეოდალურ რაინდთა ლაშქრები, რომლებიც უფრო ნაკლები რიცხოვნობისა იყო, და დაქირავებული არმიები — კონდოტიერები, რომლებსაც იწვევდნენ სამხედრო კამპანიების საწარმოებლად და დაითხოვენდნენ სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ.

რა თქმა უნდა, ახალ დროში საზოგადოებების მილიტარიზაციის პროცესის გასაგებად მნიშვნელოვანია გვესმოდეს თუ როგორ იცვლებოდა ომების წარმოების პრინციპები, ანუ, სხვა სიტყვებით, ორგანიზებული **კოლექტიური ძალადობის პრინციპები**. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია თვალი გავადევნოთ უფრო სიღრმისეულ, და, ხშირად უხილავად

დარჩენილ ურთიერთმიმართებებს ომებს, კაპიტალიზმს, იმპერიალიზმს, ნაციონალურ სახელმწიფოს და მილიტარიზმს შორის.

ასევე მნიშვნელოვანია გავიგოთ თუ როგორ იცვლებოდა მრავალრიცხოვანი ომების მიზნები. ამ ომების წარმოება უფრო და უფრო ხშირად უკავშირდებოდა არა რომელიმე მონარქს, ფეოდალს ან რომელიმე რელიგიურ თემს, არამედ თანდათანობით მზარდი ძალის მქონე ახალი კლასის — ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისამდე მცირე ხნით ადრე გერმანელი სოციოლოგი ვერნერ ზომბარტი წერდა:

> „როცა ჩვენ ვიკვლევთ თანამედროვე კაპიტალიზმის წარმოშობას და გონებაში ვაცოცხლებთ გარე გარემოებებს, რომლის დროსაც ის გაჩნდა, ჩვენი ყურადღება თითქმის უცილობლად მიემართება უწყვეტი განხეთქილებებისკენ და ომებისკენ, რომლითაც სავსე იყო ეპოქა დაწყებული ჯვაროსნული ომებით და, რომელიც, ნაპოლეონის კამპანიებამდე გაგრძელდა [...]. უბრალო მსჯელობა ჩვენ იმაში გვარწმუნებს, რომ როგორ ჩანს, არსებობს გარკვეული კავშირი ომსა და კაპიტალიზმს შორის“.

ზომბარტი შეეცადა ეს, თითქოსდა „უბრალო“ არგუმენტი დაესაბუთებინა საკუთარ წიგნში „ომი და კაპიტალიზმი“. სანამ წინ წავიწევთ, უნდა აღვნიშნო, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ, სოციალისტური მშენებლობის წარუმატებლობები, მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცა კაპიტალიზმზე კრიტიკული მსჯელობების განვითარების საქმეში და ხელს უშლიდა მისი ბნელი მხარეების შესახებ კრიტიკული დისკუსიის განვითარებას. მილიტარიზმის კრიტიკული კვლევის მდიდარი ტრადიცია, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად არ არის ხელმისაწვდომი პოსტსაბჭოთა მკითხველთათვის. ამიტომ, საჭირო ხდება მკითხველს შევახსენოთ კაპიტალიზმსა და მილიტარიზმს შორის არსებული აშკარა, ან როგორც ზომბარტი ამბობდა, „მარტივი“ კავშირები და ურთიერთობები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში განხილვის საგანია.

სამხედრო რევოლუცია

თანამედროვე მილიტარიზმის საფუძვლები უნდა ვეძიოთ ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. განსაკუთრებით ნიდერლანდებში, შვედეთში, პრუსიაში, საფრანგეთში. თანამედროვე მილიტარიზმი იწყება აღორძინების და ადრეული ახალი დროის პერიოდში. თანამედროვე მილიტარიზმის და ნაციონალური არმიების იდეოლოგიის, ინსტიტუტების და პრაქტიკების ფორმირების პროცესი გაწელილია

რამდენიმე ასწლეულზე — დაახლოებით XV–XVI საუკუნეებიდან – XIX–XX საუკუნეებამდე.

ომების წარმოების მასშტაბური ცვლილებები დაკავშირებული იყო **ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებასთან**. არტილერია და მუშკეტები ცვლიდნენ ყველა ჩვეულ წესს. ისტორიკოსმა მაიკლ რობერტსმა ამ რადიკალურ ცვლილებებს მოხდენილად „სამხედრო რევოლუცია“ უწოდა.

მრავალი ისტორიკოსი ავითარებდა რობერტსის ამ იდეას ან პოლემიკაში შედიოდა მასთან. მაგრამ რიგი ამ თეზისებიდან დღესაც აქტუალურად ჟღერს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მსჯელობა **თუ რა გავლენა იქონია „სამხედრო რევოლუციამ“ სახელმწიფო სისტემებზე.**

რობერტსი მიანიშნებდა, იმაზე რომ სამხედრო ხარჯების ზრდის გამო სახელმწიფო ცდილობდა გაეკონტროლებინა სტრატეგიული რესურსები (ისეთი, როგორიცაა სპილენძი და დენთი) და სულ უფრო დაჟინებით ერეოდა ქვეშევრდომთა ცხოვრებაში. მაგალითად, შვედეთსა და ინგლისში სელიტრის შემგროვებლები აწყობდნენ შემზარავ ჩხრეკებს. ცვლილება შეეხო ფინანსების სფეროსაც. არმია სულ უფრო იზრდებოდა და ახლა მხოლოდ სახელმწიფოს შეეძლო მისი შენახა და ომების წარმოება. თუმცა, უწყვეტი ომების დროსაც ყველა მონარქი ფინანსისტებს სესხისათვის მიმართავდა, რის გამოც ვალებში იხრჩობოდნენ. რობერტსი ასევე გვეუბნებოდა, რომ

> „უფრო მკაცირი დისციპლინა, დეტალებამდე დამუშავებული და მექანიკურ შესრულებაზე დაყვანილი სწავლება, რომელსაც ახალი ხაზობრივი (რიგებად მწყობრი წყობა) ტაქტიკა საჭიროებდა, შეესაბამებოდა აბსოლუტური ძალაუფლებისკენ მიმართული ეპოქის ტენდენციებს და, სავსებით შესაძლებელია, აძლიერებდა მას: მიმზიდველი იყო ფიქრი იმაზე, რომ დისციპლინას, რომელიც ასე კარგად წარმოჩნდა ბრძოლის ველზე, შეუძლია მოიტანოს ასეთივე დამაკმაყოფილებელი შედეგები, სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაშიც. მმართველებს სულ უფრო ხშირად აიგივებდნენ მთავარსარდალთან. ახალი დისციპლინიდან და სამწყობრო მომზადებიდან დაიბადა არა უბრალოდ ავტოკრატი, არამედ ავტოკრატის ის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც უხაროდა სახელი Kriegsherr (სამხედრო ლიდერი)“.

მე-XVII საუკუნის ბოლოს აბსოლუტისტური ყაიდის მონარქებში გაჩნდა ტენდენცია მიეჩნიათ სამხედრო ფორმა თავის ჩვეულ ტანსაცმელად.

ზუსტად ასე, მაგალითად, იქცეოდა შვედეთის მეფე კარლოს XII, ან პრუსიის მონარქი ფრიდრიჰ ვილჰელმ I.

რობერტსი ასევე აღნიშნავს, რომ:

> „[იმავე XVII] საუკუნის ბოლოს მონარქებმა ძირითადად მოიპოვეს ეფექტური კონტროლი თავის არმიებზე. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, რადგან, როგორც კი არმიები (ისევე როგორც ფლოტი) სამეფო არმიებად გადაიქცნენ — ამით ისინი, საბოლოოდ, ნაციონალურ არმიებად გარდაქმნის გზაზე დადგნენ“.

რაც ხდებოდა, კიდეც, XIX საუკუნის განმავლობაში.

ჩვენ შევეცდებით მთელი ეს ხანგრძლივი და რთული პროცესი რამდენიმე კონკრეტული მაგალითით ავხსნათ.

ჩვენ მოგვიწევს თავი შევიკავოთ მრავალი დეტალისაგან და დაზუსტებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ლექცია, ალბათ, ათობით საათი გაგრძელდებოდა. თუმცა, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ყველაზე ცნობილ, მნიშვნელოვან ისტორიულ ფიგურებსა და მოვლენებზე, რათა ამ სურათების გამოყენებით ნათლად წარმოვაჩინოთ მილიტარიზაციის პროცესის სპეციფიკა და მილიტარიზმის იდეოლოგია.

ამ მოვლენის სათავეებთან ბევრი ადამიანი იდგა. მათი უმეტესობა დიდი ხანი დავიწყებულია. თუმცა, ყველაზე ცნობილი, ხშირად მმართველი ელიტის წევრების – არისტოკრატებისა და მონარქების მოღვაწეობა, კარგად არის ცნობილი მრავალი ისტორიკოსის კვლევების წყალობით.

შუა საუკუნეების საფრანგეთი

და მაინც, ლოგიკურია დავიწყოთ არა სამხედრო ლიდერით ან მონარქით, არამედ ჟაკ კოერით – XV საუკუნის პირველი ნახევრის (ანუ, ასწლიანი ომის და ჟანა დ’არკის პერიოდის) ფინანსებში მოღვაწე ცნობილი ფიგურით. იგი ქალაქ ბურჟიდან, მდიდარი ბეწვით მოვაჭრის ვაჟი იყო, რომელიც კიდევ უფრო გამდიდრდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან ვაჭრობის წყალობით – აბრეშუმი, სპარსული ხალიჩები და სხვ. კარიერის პიკზე ის საფრანგეთის მეფე შარლ VII-ის კარზე სამეფო ხაზინადარი იყო.

სწორედ ეს პერსონაჟი ხსნის „დიდ მეჯლისს სატანასთან“ ბულგაკოვის ცნობილ რომანში „ოსტატი და მარგარიტა“. კოროვიევი მარგარიტას ყურში ჩასჩურჩულებს: „დედოფალო, გირჩევთ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ადამიანს. გულმოდგინე ფალსიფიკატორი, სახელმწიფოს

მოღალატე, მაგრამ ძალიან ნიჭიერი ალქიმიკოსი. იგი ცნობილი გახდა მეფის საყვარლის მოწამვლით“.

ამ სიტყვებიდან რომელია ჭეშმარიტი და რომელი გამოგონილი, ისევე უმნიშვნელოა, როგორც ის მოწამლა თუ არა ჟაკ კოერმა მეფის საყვარელი – აგნეს სორელი (სავარაუდოდ, ეს მას დასწამეს). ჩვენი თემისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ჟაკ კოერი, როგორც ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, იყო ერთერთი პირველთაგანი (თუ არა პირველი) იმ პიროვნებების რიგში, რომლებმაც „გააჟღერეს იდეა, რომ **სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა შეიარაღებული ძალები, მშვიდობიან დროსაც კი"**. მომავალში ეს ტენდენცია დიდი, მუდმივი არმიების შექმნას გამოიწვევს. შემთხვევითი არ არის, რომ თავისი დროის ეს უმდიდრესი ადამიანი ასევე იდგა, საფრანგეთის სამეფოში, კაპიტალისტური ეკონომიკის ჩამოყალიბების სათავეებთან.

ნიდერლანდები

მოდით, მცირე ხნით საფრანგეთი დავტოვოთ და უკან, XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში დავბრუნდეთ (ანუ, ახალი დროის დასაწყისში), იმდროინდელ ნიდერლანდებში – დღევანდელი ნიდერლანდების, ბელგიისა და ლუქსემბურგის ტერიტორიაზე. მორიც ორანელი 1585 წლიდან 1625 წლამდე ამ მიწების შტატჰალტერი, ანუ მმართველი იყო.

ეს სახელმწიფო მოღვაწე და თავისი დროის ცნობილი სამხედრო მეთაური — ნიდერლანდების დამაარსებლად ითვლება; ხოლო ამ ორი საქმიანობის შეთავსება, მომავალში, ტიპურ მოვლენად და მილიტარიზაციის მნიშვნელოვან ნიშნად იქცევა. ის ითვლება ერთ-ერთ მთავარ ფიგურად, რომელმაც წვლილი შეიტანა სამხედრო საქმის ცვლილებაში. 1590 წელს მორიცმა დააარსა მსოფლიოში პირველი სამხედრო აკადემია. აქვე აღსანიშნავია, რომ **თანამედროვე მასობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება ასევე მჭიდრო კავშირში იყო მილიტარიზაციასთან**. საჭირო იყო მეტი ოფიცერი, მეტი ადამიანი, რომლებიც დახელოვნებული იქნებოდნენ არტილერიისა ზოგადად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაში. იგი იყო სამხედრო საქმესთან დაკავშირებული პრაქტიკული და სასწავლო სახელმძღვანელოების ავტორი. მაგალითად, შეიმუშავა ქვეითი ჯარის წესების კრებული. მან შექმნა კავალერიის ახალი ტიპი — რეიტარები ანუ კირასირები. ეს მძიმედ შეიარაღებული მხედრები ასევე იყენებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს.

ყველა ეს ინოვაცია დაინერგა იმ პერიოდში, რომელსაც ხან „ოთხმოცწლიან ომს“, ხან „ნიდერლანდების რევოლუციას“, ან საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული ვერსიით „ნიდერლანდების ბურჟუაზიულ რევოლუციას“ უწოდებდნენ, რომელიც XVI საუკუნის შუა ხანებში, 1566-68 წლებში დაიწყო.

დღევანდელი ნიდერლანდების, ბელგიისა და ლუქსემბურგის მაცხოვრებლებსა და ესპანეთის სამეფოს შორის ეს ხანგრძლივი დაპირისპირება ოცდაათწლიანი ომის დასასრულს დაემთხვა. მორიცი 1625 წელს გარდაიცვალა და მის დასასრულს ვერ მოესწრო. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ინოვაცია გამოიხატებოდა დაქირავებული ჯარისკაცების ნაცვლად ადგილობრივი მოსახლეობის რეკრუტირების სისტემაში. ანუ ეს იყო ერთ-ერთი პირველი, თუ არა უპირველესი, ყველაზე თანმიმდევრული მცდელობა შეექმნათ გარკვეულ ტერიტორიაზე, ან ქვეყანაში, მოსახლეობის სამხედრო სამსახურში გაწვევის სისტემა.

ნიდერლანდები არც შემთხვევით და არა მხოლოდ ხანგრძლივი ომის გამო გახდა ამ ცვლილებების ადგილი. მორიც ორანელის სიცოცხლეში ამ ტერიტორიაზე სწრაფად ჩამოყალიბდა გავლენიანი და მდიდარი ბურჟუაზიული კლასი, დაარსდა მრავალი მანუფაქტურა – ქარხნული წარმოების წინამორბედები. 1602 წელს, ჰოლანდიის ოსტინდოეთის კომპანიამ (იმპერიული ექსპანსიის ერთ-ერთმა ინსტიტუტმა) ამსტერდამში დააარსა მსოფლიოში პირველი საფონდო ბირჟა და დაიწყო ფასიანი ქაღალდებითა და აქციებით ვაჭრობა. ამ რეგიონში აქტიურად ვითარდება საბანკო საქმიანობა. მოკლედ, XVII საუკუნეში ნიდერლანდები გლობალური ვაჭრობის ცენტრად და იმ დროის ყველაზე თანამედროვე ფინანსურ ინსტიტუტად იქცა.

გაჭიანურებული ომის წარმოება და მრავალრიცხოვანი მუდმივი არმიის შენახარჯი მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მოითხოვდა. მორიც ორანელმა, მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კაპიტალისტური წარმოების ხერხების სწრაფი განვითარების წყალობით, შეძლო თავისი რეფორმებისა და ექსპერიმენტების განხორციელება. ნიდერლანდებში საკმარისი ფული მოიპოვებოდა მისი ექსპერიმენტებისთვის.

შვედეთი

შემდეგი ისტორიული ფიგურა, გუსტავ II ადოლფი, დაიბადა 1594 წელს შვედეთის სამეფოს ქალაქ სტოკჰოლმში. შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში (იგი გარდაიცვალა ლიუცენის ბრძოლაში,

სისხლისმღვრელი ოცდაათწლიანი ომის დროს, 1632 წელს), მან სახელი გაითქვა როგორც სამხედრო ლიდერმა და თანამედროვე სამხედრო განათლების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა. იგი იყო სახელმწიფოს, რომელსაც ისტორიკოსები შვედეთის იმპერიას უწოდებენ, ერთ-ერთი შემქმნელი. გუსტავ ადოლფი სამხედრო ტაქტიკასა და სტრატეგიაში მრავალი რეფორმისა და ინოვაციის ავტორი იყო.

მან მამისგან, კარლოს IX-ისგან, მემკვიდრეობით მიიღო ცენტრალიზებული მონარქიული სისტემა, რომელიც მას საშუალებას აძლევდა ეფექტურად მოეხდინა ამ შედარებით ღარიბი და მეჩხრად დასახლებული ტერიტორიის რესურსების მობილიზაცია (თუ შევადარებთ გერმანულ მიწებს, საფრანგეთს ან ნიდერლანდებს). შვედეთის იმპერიისთვის ეს იყო ეკონომიკური აღმავლობის მომენტი, რომელიც ძირითადად უკავშირდებოდა მზარდი არმიის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

აღსანიშნავია, რომ გუსტავ ადოლფი ასევე მკაცრი დისციპლინის მომხრე იყო. იგი ითვლება ცნობილი სასჯელის — **შპიცრუტენის** — გამომგონებლად. რაიმე დანაშაულის ჩამდენ ჯარისკაცს თანამებრძოლების ორ მწყობრს შორის ატარებდნენ, რომლებიც მას გრძელი წკეპლებით ან ჯოხებით სცემდნენ. დასჯის ეს ფორმა შემდგომში ფართოდ გამოიყენებოდა პრუსიის, რუსეთის და სხვა არმიებში. გრძელი მწყობრი რიგი და ათასობით დარტყმა არსებითად სიკვდილით დასჯის სასტიკ და მტანჯველ ფორმას წარმოადგენდა დამნაშავესთვის.

შეგახსენებთ, რომ მისი პირდაპირი შთამომავალი, მეფე კარლოს XII, რომელიც შვედეთის იმპერიას 1697 წლიდან 1718 წლამდე მართავდა, რუსეთის იმპერიის დამფუძნებლის, პეტრე დიდის ყველაზე ცნობილი და საშიში მოწინააღმდეგე იყო. პეტრე დიდის დროს რუსეთის იმპერია აქტიურად ჩაერთო მილიტარიზაციის პროცესში, როცა დაინერგა ინოვაციები, რომლებიც სხვადასხვა ევროპულ ქვეყანებში უკვე იყო გავრცელებული. და აქ საქმე არ ეხება მხოლოდ არმიების ფორმირების მეთოდებსა და ომის წარმოების წესებს, არამედ იმავე მანუფაქტურების შექმნასაც, რომლებიც ემსახურებოდნენ მზარდ მილიტარისტულ მადას. როგორც ევროპის სხვა ქვეყანებში, იგი მოიცავდა ქვემეხებისთვის და სხვა იარაღისთვის განკუთვნილი თუჯის და რკინის სწრაფად მზარდ წარმოებას; ასევე, სხვადასხვა საბრძოლო აღჭურვილობის (მაგალითად, დენთის), უნიფორმების და გემთმშენებლობისათვის საჭირო ყველა ინვენტარის წარმოებას და საკვების მომარაგებას.

ოცდაათწლიანი ომი

სანამ XVIII საუკუნეზე გადავალთ, მნიშვნელოვანია რამდენიმე სიტყვა დავამატოთ ოცდაათწლიანი ომის შესახებ. ეს პირველი და უკიდურესად სისხლისმღვრელი საერთო ევროპული კონფლიქტი იყო, რომელიც 1618 წელს დაიწყო და 1648 წელს ვესტფალიის ზავით დასრულდა. იგი ევროპული საზოგადოებების მილიტარიზაციის პროცესის უმთავრესი ეტაპი იყო.

ამ ომის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. თუმცა, ყველაზე ოპტიმისტური შეფასებით, დაღუპულთა რიცხვი არანაკლებ ხუთი მილიონი იყო. სხვა მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვი შვიდ ან ცხრა მილიონს, ან კიდევ მეტს, შეადგენდა. ყველაზე მეტად დაზარალდნენ შემდგომში გერმანიის შემადგენლობაში შესული ტერიტორიები. ზოგიერთმა რეგიონმა მოსახლეობის ნახევარზე მეტი დაკარგა. ეს იყო იმ სამხედრო ექსპერიმენტებისა და რეფორმების ფასი, რითაც ამ მოვლენებში მონაწილე პირები იყვნენ დაინტერესებულები.

მორიც ორანელსა და გუსტავ ადოლფთან ერთად საჭიროა გავიხსენოთ მათი ზოგიერთი მოწინააღმდეგეც. მაგალითად, საღვთო რომის იმპერიის გენერალისიმუსი ალბრეჰტ ფონ ვალენშტაინი, ფელდმარშალი გრაფი ფონ ტილი ან კარდინალი არმან დე რიშელიე, რომელმაც ფართო ცნობადობა ალექსანდრე დიუმას რომანის წყალობით მოიპოვა. თითოეული მათგანი დიდი არმიების დაფინანსებისა და შენახარჯის გზებს ეძებდა. **სწორედ ამ ომის დროს მიღებულ პრაქტიკად იქცა ჯარების შენახვა დაპყრობილი ტერიტორიების ხარჯზე, რაც იწვევდა აქ მცხოვრები მოსახლეობის მასშტაბურ ძარცვას, მასობრივ ძალადობას და მოროდიორობას**. ოცდაათწლიანი ომი, ზოგადად, დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა.

ბერტოლდ ბრეხტმა, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, ოცდაათწლიანი ომის მოვლენები აღწერა თავის პიესაში „დედა კურაჟი და მისი შვილები“. პიესის ცბიერი და ფხიანი გმირი, მარკიტანტი დედა კურაჟი სარგებელს ომიდან იღებდა. როდესაც ჯარში გამწვევი მის ერთ-ერთ ვაჟს ჯარში წასვლისკენ მოუწოდებდა, ერთ-ერთი პერსონაჟი, ფელდფებელი, ცინიკურად აღნიშნავდა: „თუ ომიდან პური გინდა, მიეცი მას ხორცი“.

ამ ომის ერთ-ერთი ეპიზოდი იყო მაგდებურგის ალყა და აღება იმპერიული ჯარების მიერ 1631 წელს. ეს მოვლენა ასევე ცნობილია, როგორც მაგდებურგის ხოცვა-ჟლეტა. ქალაქის დაახლოებით 30.000 – იანი მოსახლეობიდან ხოცვა-ჟლეტას მხოლოდ 5.000 გადაურჩა. ბევრი ხანძარში დაიღუპა. ქალაქი ნანგრევებად იქცა. ჯარისკაცები ქალებზე ნა-

დირობდნენ და მაგდებურგის დაახლოებით 5.000 მკვიდრი ქალი ტყვედ იყო აყვანილი. ანუ, ეს ქალების მიმართ მასობრივი ძალადობის ერთ-ერთი მაგალითი იყო. ამ სისხლიანმა მოვლენებმა საკუთარი ნეოლოგიზმის გაჩენა გამოიწვია, რომლითაც ასე მდიდარია გერმანული ენა — Magdeburgisieren, **„მაგდებურგიზაცია“** — სრული განადგურების, მასობრივი ძალადობისა და ძარცვის სინონიმი.

ჰუგო გროციუსი, ჰოლანდიელი ფილოსოფოსი, საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელი და ამ მოვლენების თანამედროვე, როგორც მაიკლ რობერტსი აღნიშნავს:

> „ასწავლიდა, რომ სამხედრო ტყვეების მოკვლა კანონიერი იყო [...]; რომ მტრის მიწებისა და ქალაქების შეუზღუდავი განადგურება დასაშვები იყო, მაშინაც კი, თუ ისინი დანებდებოდნენ; რომ მშვიდობიან მოსახლეობას არ ჰქონდა განსაკუთრებული მოპყრობის უფლება; და რომ „ქალებისა და ბავშვების ხოცვა დაშვებული იყო დაუსჯელად, როგორც ეს ომის კანონით იყო გათვალისწინებული“ — პოზიცია, რომელიც მან, თავისი ჩვევის მიხედვით, გაამყარა ციტატით 136-ე ფსალმუნიდან: „ნეტარია, რომელმანც შეიპყროს და მიახეთქოს ჩვილნი შენნი კლდეს. “ [...]. იმ ეპოქის აბსოლუტური, სასტიკი (ოცდაათწლიანი) ომი, რომელთან შეგუებაც მოუწია გროციუსს, ლევიათანის ლოგიკას განსაკუთრებულ სიმკვეთრეს სძენს“.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოს, როგორც „ლევიათანის“ – მითიური ბიბლიური, უზარმაზარი, ცეცხლისმფრქვეველი გველის ხატი – ოცდაათწლიანი ომის კიდევ ერთმა თანამედროვემ, ინგლისელმა ფილოსოფოსმა თომას ჰობსმა შექმნა. მის ნაშრომებში ძლევამოსილი ურჩხული ძლიერი სახელმწიფო ძალაუფლების მეტაფორად იქცა.

არ დაგვავიწყდეს, რომ მილიტარიზმი, რომელმაც მრავალი სამეცნიერო აღმოჩენა და სხვადასხვა ინოვაცია გამოიწვია (როგორც იტყოდნენ მისი მომხრეები), **ამისთვის ყველაზე მაღალ ფასის გადახდას მოითხოვდა**. სასტიკი ომები და მილიონობით განადგურებული სიცოცხლე; ომებში ძალადობისა და განმანადგურებლობის მუდმივ ზრდას თან სდევდა სახელმწიფოს გაძლიერება და საკუთარი ქვეშევრდომების, შემდგომში მოქალაქეების, ცხოვრების კონტროლი. ეს იყო ფასი, რომლის გადახდაც მუდმივად იყო საჭირო.

საუკუნიდან საუკუნემდე, სამეფოებიდან რესპუბლიკებამდე, ლევიათანი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ძლევამოსილი ხდებოდა. ოცდაათწლიანი ომის შემდგომ საუკუნებში სახელმწიფო ხელისუფლე-

ბა თანმიმდევრულად ავითარებდა ჯარში გაწვევის აპარატს, რაზეც, ბრეხტის გულახდილი ფელდფებელი ალბათ იტყოდა – შემდგომ ომში გასაგზავნი „ხორცის“ შესაგროვებლად. ფასი უწყვეტად მხოლოდ იზრდებოდა, მაშინ როცა მრავალრიცხოვანი ბურჟუაზიული მეწარმეები, კაპიტალისტები, სულ უფრო მეტ „პურს“ შოულობდნენ; მათ სულ უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლეოდათ რათა ომების და მილიტარიზაციის საშუალებით დაეგროვებინათ უზარმაზარი ქონება.

პრუსია

მოდით, სწრაფად გადავინაცვლოთ XVIII საუკუნეში, სხვა სამეფოში — პრუსიაში და იმანუელ კანტის ეპოქაში ვიმოგზაუროთ. ამ ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ჰოჰენცოლერნების დინასტიის ორი პრუსიელი მმართველის დროს გაატარა.

ფრიდრიჰ ვილჰელმ I პრუსიას, უდიდეს გერმანულ სამეფოს 27 წლის განმავლობაში, 1740 წლამდე მართავდა. სამხედრო წვრთნების, დისციპლინისა და არმიის სიყვარულის გამო მას მეტსახელად **„მეფე-ჯარისკაცი“** შეარქვეს. თუმცა, მას სხვა მრავალი, გაცილებით ნაკლებად საქებარი მეტსახელებიც ჰქონდა. ისტორიკოს ვოლფგანგ ფენორის თქმით, „პრუსიელ მეფე-ჯარისკაცს ყოველთვის ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. ყველა ევროპულ კარზე პრუსიელ „სულელ ჯარისკაცს“ დასცინოდნენ. მას „ტახტზე მყოფ ფელდფებელს“ უწოდებდნენ“.

კანტის თანამედროვე, ცნობილი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, ვოლტერი თავის მემუარებში ფრიდრიჰ ვილჰელმის შესახებ წერდა:

> „ნამდვილი ვანდალი, რომელიც მთელი თავისი მეფობის განმავლობაში მხოლოდ მეტი ფულის დაგროვებაზე და ევროპაში საუკეთესო ჯარის მინიმალური ხარჯებით შენახარჯზე ფიქრობდა“.

თუმცა, ვოლტერის მიერ ევროპაში საუკეთესოდ წოდებული ჯარები სწორედაც ამ „ვანდალი“ მეფის შექმნილი იყო. ამ სფეროში მისი მიღწევების საიდუმლოს დიდწილად „საუკეთესო ჯარების“ შესაქმნელად სამეფოს ეკონომიკის დაქვემდებარება წარმოადგენდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის სულაც არ იყო მხოლოდ სამხედრო რეფორმატორი. ტახტზე ასვლისთანავე მან სამეფოს სათავეში თავისი პოზიცია შემდეგნაირად განსაზღვრა:

„მე, ფრიდრიჰ ვილჰელმი, ვარ პრუსიის სამეფოს მთავარი ფინანსისტი და ფელდმარშალი“.

ფენორის თქმით, მისი უდიდესი გატაცება შემოსავლების აღწერა, მომჭირნეობა და ფინანსებზე კონტროლი იყო. ეს გატაცება მას ადრეულ ასაკში გამოუვლინდა. მეათე დაბადების დღეზე მამამ მას ვუსტერჰაუზენის სამონადირეო სახლი და მასთან ერთად კადეტების ასეული აჩუქა, რომელიც სათამაშო თოფებით შეიარაღებული სოფლელი ბიჭებისგან შედგებოდა.

ვოლფგანგ ფენორი ხაზს უსვამს, რომ ბავშვობაში მიღებული გამოცდილების წყალობით, რომელიც მამულის მართვაში ჰქონდა მიღებული, რომელიც

> „მართვისას მიიღო, რაც, თავის მხრივ, „ნახევრად გლეხური მამული, ნახევრად სამხედრო ნაწილი იყო, სადაც მემკვიდრე უფლისწულისათვის ნათელი გახდა განუყოფელი კავშირი არმიასა და ფინანსებს შორის; ასევე, ფინანსებს შორის და სახელმწიფოსა და არმიას შორის ეკონომიკური ურთიერთქმედების მიზეზები“.

ფრიდრიჰ ვილჰელმის სახელი ასოციირდება გამოთქმასთან „პრუსიული წვრთნა“ — უმკაცრესი დისციპლინა, რომელიც გამომუშავდებოდა ერთი და იგივე სამწყობრო მომზადების ტეხნიკის მრავალჯერადი და დამქანცველი გამეორებით. ამგვარად, მან შექმნა ახალი და XVIII საუკუნისთვის უაღრესად ეფექტური ხაზობრივი საბრძოლო ტაქტიკა. სამხედრო სამსახური ამიერიდან მკაცრ ორგანიზაციაზე იყო დაფუძნებული, რომელიც, თავის მხრივ, მკაცრ დისციპლინაზე იყო დამყარებული. ერთიანი ლურჯი უნიფორმა – იმ წლებში კარგად ცნობილი „პრუსიული ლურჯი“ – ცვლილებების სიმბოლოდ იქცა. ეს ფერი ამიერიდან პრუსიის არმიისადმი კუთვნილებას განასახიერებდა.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ეს მილიტარისტული ორგანიზაციის პრინციპი, რომელიც ფრიდრიჰ ვილჰელმს უყვარდა და ესმოდა, **გავრცელდა მთელ სახელმწიფოზე** და როგორც ფენორი აღნიშნავს:

> „მან თავიდანვე მტკიცედ გადაწყვიტა პრუსიული სამყაროს რადიკალური გარდაქმნა და მისი გადაკეთება ორი კანონის შესაბამისად, რომლებსაც, ღვთის შიშთან ერთად, იგი უზენაესად თვლიდა — მომჭირნეობა და წესრიგი. იგი თავს პრუსიაში ღვთის ნაცვლად თვლიდა და აქ ყველა მას ბრმად უნდა დამორჩილებოდა. მისი მეთაურობით მთელი სახელმწიფო ბატალიონის მსგავსად უნდა წასულიყო წინ: მწყობრი რიგებით, მხარდამხარ“.

იმავე ფენორის თანახმად, ფრიდრიჰ ვილჰელმმა „მოახერხა პრუსიის ეკონომიკის გარდაქმნა სამხედრო საჭიროებების შესაბამისად [...] და არმია ახალი ეროვნული ეკონომიკის მამოძრავებელ ღერძად აქცია“.

პრუსიული მატყლის ინდუსტრია ახალი ეკონომიკის ძირითად კომპონენტად იქცა. მისი მთავარი მიზანი მუდმივად მზარდი არმიისთვის სამხედრო უნიფორმის წარმოება იყო. მთელ სამეფოში იქმნებოდა მანუფაქტურები. უკვე 1725 წელს პრუსიამ რუსეთის იმპერიისთვის უნიფორმების მიწოდება დაიწყო. ამ დარგის განვითარებას იარაღის მწარმოებელი მანუფაქტურების შექმნა მოჰყვა. მისი მეფობის ბოლოს პრუსია სრულიად ამარაგებდა საკუთარ არმიას შეიარაღებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილება ბევრს გვეუბნება XVIII საუკუნეში პრუსიაში **საზოგადოებისა და ეკონომიკის მილიტარიზაციის ხარისხის შესახებ**. 1713 წელს, ფრიდრიჰ ვილჰელმის მეფობამდე, არმიაზე 2.4 მილიონი ტალერი იხარჯებოდა და ორჯერ ნაკლები — 1.2 მილიონი — ყველა სხვა არასამხედრო ხარჯზე. მისი მეფობის ბოლოსთვის სამეფოს ბიუჯეტი გაორმაგდა. თუმცა, თანაფარდობა იგივე დარჩა: 4.800.000 არმიისთვის და ამ თანხის ნახევარი (2.400.000) ყველა სხვა ხარჯისთვის. ამგვარი დისბალანსი უჩვეულო არ იყო. არმიების შენახვასთან და ომების წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები სხვა სამეფოების და იმპერიების ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

განმანათლებლური აბსოლუტიზმი

ფრიდრიჰ ვილჰელმ I-მა თავისი სამეფო თავის უფროს და არასაყვარელ ვაჟს დაუტოვა, რომელსაც, თავის მხრივ, სძულდა მამამისი – ფრიდრიჰ II, რომელმაც თავისი მეფობის პერიოდში დაიმსახურა ეპითეტი — დიდი. ვოლტერის ზემოხსენებულ მემუარებში მამა-შვილის ურთიერთობა შემდეგნაირად არის აღწერილი:

> „შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენად გაკვირვებული და გაბრაზებული იყო ეს ვანდალი [ფრიდრიჰ ვილჰელმ I], როდესაც დაინახა, რომ მას ეზრდებოდა ვაჟი, რომელიც გამოირჩეოდა მახვილგონიერებით, მოხდენილობით, თავაზიანობით და სურვილით მოწონებოდა სხვებს; შვილი, რომელიც ცდილობდა თვითგანათლებას, გატაცებული იყო მუსიკით და წერდა ლექსებს. თუ იგი მემკვიდრე პრინცის ხელში წიგნს დაინახავდა, მას ცეცხლში აგდებდა. თუ პრინცი ფლეიტაზე უკრავდა, მამა მას ამტვრევდა...“

ხასიათის ამგვარმა თავისებურებამ ხელი არ შეუშალა ფრიდრიჰ II დიდს, რომელსაც მეფე-ფილოსოფოსი უწოდეს, გაეტარებინა იმავე მილიტარისტული და ფინანსური პოლიტიკა, რაც მამამისმა გაატარა. ფრიდრიჰ II განმანათლებლური აბსოლუტიზმის ეპოქის ნათელი მაგალითი იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ბევრმა მონარქმა გამოაცხადა განმანათლებლობის იდეებისადმი ერთგულება, თუმცა, ამავდროულად ისინი სახელმწიფოს აბსოლუტურ კონტროლს ახორციელებდნენ. ეკონომიკურ პოლიტიკაში ფრიდრიჰ დიდი, მამამისის, და ევროპული მონარქების უმეტესობის მსგავსად, მერკანტილიზმის მომხრე იყო.

> „მერკანტილიზმი კარნახობდა ინტენსიურ საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკას იმპორტსა და ექსპორტს შორის დადებითი ბალანსით (ნაკლები იმპორტი და მეტი ექსპორტი, ქვეყნის ეკონომიკის დაცვა მაღალი ტარიფებით და რაც შეიძლება მეტი ძვირფასი ლითონის დაგროვებისკენ სწრაფვა)“.

რაც შეეხება არმიას, **იგი უმცროსი წოდებების უფროსებზე უპირობო დაქვემდებარებაზე და ასეთივე მკაცრ დისციპლინაზე იყო აგებული**. ისტორიკოს იური ნენახოვის თქმით, ეს სისტემა

> „გამყარებული იყო წესდების და ინსტრუქციების რკინისებური წესებით, რომლებიც ფაქტობრივად არეგულირებდნენ ჯარისკაცის ცხოვრების ყოველ წუთს. ჯოხი პრუსიის არმიაში გაცილებით დიდ, თუ არა ყველაზე მნიშვნელოვან, როლს თამაშობდა; მეტს ვიდრე ნებისმიერი სხვა ევროპული ქვეყნის ჯარებში“.

შემდგომში, მრავალი ოფიცერი საჯარო მოხელე გახდა, რომლებმაც სამხედრო სამსახურის დროს შეჩვეული მკაცრად რეგლამენტირებული მილიტარისტული პრაქტიკა სამოქალაქო სამსახურშიც გადაიტანეს. **ასეთ მილიტარიზებულ საზოგადოებაში სამხედროებისთვის მინიჭებული გამორჩეული და საპატიო ადგილი** დროის ნიშნად იქცა არა მხოლოდ პრუსიაში, არამედ ევროპის სხვა მრავალ მონარქიაშიც.

ისტორიკოსი ფრიდრიჰ მაინეკე ამ სიტუაციას ასე აღწერს:

> „პრუსიელი ლეიტენანტი დედამიწაზე ღმერთივით დააბიჯებდა, ბურჟუაზიული რეზერვის ლეიტენანტი კი, სულ მცირე, როგორც ნახევარღმერთი. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და განსაკუთრებით საჯარო სამსახურში სერიოზულად აღქმისთვის სარეზერვო ოფიცრის წოდების მოპოვება აუცილებელი იყო“.

> „პროფესიულ სფეროში, პლაცზე და ბრძოლის ველზე, უმაღლესი მიღწევები აბსოლუტურ ღირებულებად იქცა. პლაცი, თავის მხრივ, განსაკუთრებული გათვლებით და ტექნიკებით ხასიათდებოდა. აქ ადამიანი იწვრთნებოდა, ანუ რაციონალური სქემის

> მიხედვით, გარდაიქმნებოდა არსებად, რომელსაც შეეძლო ბრმად გაეწირა სიცოცხლე სხვის მიერ დადგენილი მიზნის შესაბამისად. ადამიანი იქცა დიდი მაშინის პატარა ჭანჭიკად, მექანიზმად [...]. ეს მექანიკური სასწაული თვითმიზნად იქცეოდა; ქვეყანაში ყველას თაყვანი უნდა ეცა მის წინაშე“.

ამ სისტემას შეიძლება ეწოდოს არა მარტო განმანათლებლური აბსოლუტიზმი, არამედ **სამხედრო-ბიუროკრატიული აბსოლუტიზმიც**. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მონარქი – აბსოლუტური მმართველია. ის ეყრდნობა როგორც არმიას, ასევე ბიუროკრატიულ აპარატს, რომელიც ძირითადში აგებულია მილიტარისტულ პრინციპებზე - წოდებებზე, რანგებზე, მკაცრ დაქვემდებარებასა და საკუთარ ბიუროკრატიულ დისციპლინაზე.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის ორმა მოვლენამ რადიკალურ ცვლილებები გამოიწვია სახელმწიფოს და ეკონომიკის ფუნქციონირების პრინციპებში. დაახლოებით 1780-იან წლებში დაიწყო ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე **ბრიტანეთის ინდუსტრიული რევოლუცია**. ბრიტანეთი, თავისი რკინიგზებითა და ქარხნებით, სხვა ქვეყნებში კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების მოდელად იქცა.

ნაპოლეონის საფრანგეთი

საფრანგეთის რევოლუცია 1789 წლის ზაფხულში დაიწყო. ეს მოვლენა მნიშვნელოვანი იყო მთელი რიგი მიზეზების გამო.

ისტორიკოსის, ერიკ ჰობსბაუმის თქმით,

> „პირველ რიგში, იგი ევროპის ყველაზე ძლიერი და მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოხდა (რუსეთის გამოკლებით). 1789 წელს ყოველი მეხუთე ევროპელი ფრანგი იყო“.

მეორეც, ეს იყო

> „ყველაზე მასშტაბური სოციალური რევოლუცია და გაცილებით რადიკალური, ვიდრე მასთან შედარებით ნებისმიერი სხვა“.

და ბოლოს,

> „მესამე, ყველა თანამედროვე რევოლუციიდან მხოლოდ ის იყო გლობალური. მისმა არმიებმა როგორც რევოლუცია, ასევე მისი იდეები მთელ მსოფლიოში გაავრცელეს“.

ამ რევოლუციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ:

> „საფრანგეთი გახდა ნაციონალიზმის პირველი დიდი მაგალითი, კონცეფცია და ლექსიკა“.

რევოლუციურ, და შემდეგ ნაპოლეონისეულ, საფრანგეთსა და ბრიტანეთის იმპერიას შორის კონკურენცია, 1804 წელს იმპერატორად გამოცხადებული ნაპოლეონ ბონაპარტის ამბიციები და ბრიტანეთის სურვილი, ხელი შეეშალა მისი დომინირებისთვის ევროპის კონტინენტზე, ბრძოლა ზღვისიქითა ტერიტორიებისათვის – ყველა ამ მოვლენამ გამოიწვია ხანგრძლივი შეიარაღებული დაპირისპირება.

იმავე ერიკ ჰობსბაუმის თქმით, ევროპაში ომი 1792 წლიდან 1815 წლამდე პრაქტიკულად არ შეჩერებულა. ნაპოლეონის დროს გაუთავებელი ომების წარმოებისა და დიდი არმიების შენახარჯის ფინანსური ხარჯები იმპერიის მთლიანი ბიუჯეტის 60%-ზე ნაკლები არასოდეს ყოფილა. და ეს იმის მიუხედავად, რომ ნაპოლეონის დროს აქტიურად გამოიყენებოდა მიდგომა, რომელიც მიხედვით დაპყრობილი ტერიტორიების რესურსები არმიების სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინათ. ამრიგად, საფრანგეთში განვითარებადი კაპიტალისტური ეკონომიკა, ძირითადად, არმიის ინტერესების მომსახურებისთვის და ომების წარმოებისთვის იზრდებოდა.

საფრანგეთს ბრძოლის ველზე უდიდესი არმია გამოჰყავდა, რომლის რიცხოვნება ასობით ათასს შეადგენდა. რუსეთის იმპერიაში შეჭრის მომენტისათვის მისი რიცხოვნება 700 ათასს აღწევდა. ეს მოვლენები XIX საუკუნის განმავლობაში მასობრივი ეროვნული არმიების ჩამოყალიბების ერთგვარ პროლოგად იქცა.

კონსკრიპცია

ისტორიკოს იუჯინ ვებერის თქმით:

> „საფრანგეთში სისტემატური კონსკრიპცია 1798 წლიდან იწყება. მისი ზოგადი მახასიათებლები [...] იმპერიულ პერიოდში ჩამოყალიბდა, როდესაც ნაპოლეონმა სამხედრო სამსახურში გაწვევის ლატარია შემოიღო და სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები განსაზღვრა“.

კონსკრიპცია – ეს არი ტერმინი, რომელიც აღწერს წილისყრაზე დაფუძნებულ სამხედრო სამსახურში გაწვევას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამხედრო სამსახურში გაწვევის ასაკს მიღწეული მამაკაცები წილისყრას აწყობდნენ. გარდამტეხი მომენტი იყო ის, რომ **კონსკრიპცია ფაქტობრივად ნიშნავდა საყოველთაო სამხედრო სამსახურის პრინციპის თანდათანობით დანერგვას**. კონსკრიპცია საფრანგეთში

მრავალი სხვა ქვეყნისთვის მოდელად იქცა. ეს იყო საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახურის ახალი ფორმა ამა თუ იმ ქვეყნის მაცხოვრებლებისთვის და გარკვეული ასაკის მამაკაცებისთვის, რომლებსაც ამიერიდან ჯარში სამსახური ევალებოდათ. არმიები სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა და თანდათანობით ნაციონალურად იქცნენ. პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროისთვის ამ სისტემამ XX საუკუნეში ჩვენთვის კარგად ნაცნობი ნიშნები შეიძინა.

იუჯინ ვებერი შემდეგნაირად აღწერს ფრანგული საზოგადოების მასობრივი მილიტარიზაციის ამ ხანგრძლივი პროცესის დასრულებას დიდი კატასტროფის წინ (როგორც მოგვიანებით პირველი მსოფლიო ომს უწოდებენ):

> „1889 წლისთვის სამხედრო სამსახურის ვადა სამ წლამდე შემცირდა, გაუქმდა 1500 ფრანკის ღირებულების შეღავათი და ყველა, ვინც ადრე გათავისუფლებული იყო გაწვევისაგან (კერძოდ, სტუდენტები, მასწავლებლები, სასულიერო პირები, ნახევარღატაკები, ქვრივებისა და დიდი ოჯახების უფროსი ვაჟები) ვალდებულნი იყვნენ ერთი წელი ემსახურათ დროშის ქვეშ. ეს მიდგომა პოპულარობით სარგებლობდა. იგი გახდა გადამწყვეტი მომენტი, როდესაც ფიზიკურად ჯანსაღ ყველა ფრანგს მოუწია ეროვნული დროშის ქვეშ მსახური. 1905 წელს სამხედრო სამსახურის ვადა, ყველასთვის, ორ წლამდე გაიზარდა, ხოლო 1913 წელს კვლავ გახდა სამი წელი“.

შემდეგ კი საფრანგეთმა, ისევე როგორც სხვა ევროპულმა ქვეყნებმა – გერმანიამ, ბრიტანეთმა, რუსეთის იმპერიამ, იტალიამ და სხვებმა, პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე მილიონიანი არმიები გაგზავნეს.

მაიკლ რობერტსი, შეგახსენებთ მან შემოიღო ტერმინი „სამხედრო რევოლუცია“, თავის ანალიზს აჯამებს შემდეგი სიტყვებით:

> „1560-დან 1660 წლამდე ევროპულ სამყაროში დიდი და შეუქცევადი ტრანსფორმაცია მოხდა. [...] 1660 წლისთვის ომის თანამედროვე ხელოვნება გაჩნდა. მასობრივი არმიები, მკაცრი დისციპლინა, სახელმწიფო კონტროლი, ინდივიდუალობის ჩახშობა – ეს ყველაფერი უკვე რეალობად იქცა; ფინანსური ძალაუფლებისა და გამოყენებითი მეცნიერების კომბინირებული დომინაცია უკვე დამკვიდრებული იყო მთელი თავისი სისასტიკით; პროპაგანდის, ფსიქოლოგიური ომისა და ტერორიზმის გამოყენება ომის იარაღად უკვე კარგად იყო ცნობილი როგორც თეორეტიკოსებისთვის, ასევე მეთაურებისთვის ბრძოლის ველზე. ბოლო ეჭვები ომების რელიგიური და ეთიკური ლეგიტიმურობის შესახებ,

> როგორც ჩანს, აღმოფხვრილი იყო. გზა მეოცე საუკუნის უფსკრულისკენ იყო ღია, ფართო და პირდაპირი“.

დასკვნა

აქ შევჩერდებით. პირველი მსოფლიო ომისკენ თანდათანობითი სვლა და XX საუკუნეში მილიტარიზაციის პროცესი ცალკე განხილვას საჭიროებს.

შეჯამებისთვის, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ხშირად ისმის არგუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ შეუწყო ხელი მილიტარიზმმა, რომელიც კაპიტალიზმთან და ნაციონალიზმთან ერთად ყალიბდებოდა, გაცილებით მდიდარი საზოგადოებების გაჩენას. ბევრი სასარგებლო გამოგონება მართლაც პირდაპირ კავშირშია მილიტარიზაციასთან და ომთან. მაგრამ ამ ლოგიკით, მილიტარიზაციის სამსხვერპლოზე გაღებული მსხვერპლი თანმდევად და გამართლებულად იქცევა. XVII, XVIII, XIX საუკუნეების მრავალრიცხოვან ომებში დაღუპული ადამიანები თითქოსდა არარეალურად გვეჩვენებიან, როგორც რომელიღაც გამოგონილი პიესის მსახიობები. მაგრამ ისინი ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორებიც ჩვენ ვართ. და მათი სიცოცხლე განადგურდა და შეეწირა არა პროგრესს თუ ახალ გამოგონებებს. სინამდვილეში, ზუსტადაც რომ პირიქით. ომების დაწყებით, საზოგადოებების მილიტარიზაციით და მასობრივ ძალადობასთან მიყვანით, მმართველი კლასები, მილიტარისტები და კაპიტალისტები სრულიად სხვა მიზნებს ისახავდნენ. ისინი სამხედრო უპირატესობასა და დომინირებას ცდილობდნენ. მთელი ეს სისტემა საშინელ ექსპლუატაციაზე იყო აგებული – სამუშაო პირობები XVII და XVIII საუკუნეების მანუფაქტურებში, ხოლო მოგვიანებით XIX საუკუნის ქარხნებში, საშინელი იყო. საბოლოო ჯამში, ადვილად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე არმიების შექმნაზე დახარჯული უზარმაზარი თანხები განათლების, ჯანდაცვის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისკენ რომ ყოფილიყო მიმართული, არანაკლები რაოდენობის სასარგებლო გამოგონებები შეიქმნებოდა და მათი საფასური არ იქნებოდა ასეთი საშინელი.

ავტორი – სერგეი რუმიანცევი

თარგმანი ქართულ ენაზე – რუსლან ბარამიძე

დაკაბადონება – კატია ჩიგალეიჩიკი

სათაური – “ჩვენი პლანეტა ჰგავს მარშზე გაოფლილ ახალწვეულს”: თანამედროვე მილიტარიზმის საფუძვლები. კრიტიკული მიმოხილვის გამოცდილება.

აუდიო ლექციის ჩანაწერი პროექტის „Weg zum Frieden. Weg zum Frieden. Demilitarizing Mind – Supporting Peace“ ფარგლებში.

2025

KANT